




საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბეჭდებიც ბეჭდუდნი სიფყვას,
ცყუილებით და ჭაბუბით ბუბთის
გაფანა ყველა უკადრისდაზგი
უსამაგლესია.

 **დაარსებულია**
1918 წელს. 
სამშაბათი, **20** მაისი, 2014 წელი.
№97 (7478)

რუსკულეკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საროსკივო კომპოზიტორთა კავშირში?!



რაც თქვენ იფიქრეთ, მე ის არ გითქვამს

სახელწიფო უესყიდვაბი ლეგალიზებული კორუფციის ელემენტებით

უკრაინა- დაპირისპირების კვანძი

**უავისადლო
ხუთიოდ წელი და
მერე გვატყვიან,
რა გვარგებს და
რა მოგვკლავს (!?)**



შურნალისტის არქივიდან
**რეზო
ინანიშვილის
სიტყვა კაკაბეთის
სახალსო
ყრილობაზე
1979 წლის 9
17 ოქტომბერს**



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

გადაღობით დახმარების უპირობაზებისთვის!

საპარტიზომო პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი და-რიალის ხეობაში, სტიქიის შედეგად უკრაინის მოქალაქის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. ამის შესახებ ირაკლი ლარიაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

— დარიალის ხეობაში მესამე დღეა, ვებრძვით სტიქიას. სტიქიის შედეგად გარდაიცვალა ერთი ადამიანი და დაკარგულად მიიჩნევა — შვიდი. მიუხედავად იმისა, რომ სამაშველო სამსახურებმა დროული დახმარება აღმოუჩინეს უკრაინის მოქალაქეს და ვერტიკალური სასწრაფოდ გადაიყვანეს კლინიკაში, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მიწა, დიდი მწუხარება გამოვთქვა უკრაინელი მოქალაქის გარდაცვალების გამო და სამძიმარი გამოვუცხადო მის ოჯახს.

ადგილზე 24-საათიან რეჟიმში

მუშაობს საგანგებო შტაბი. ჩვენი სამსახურები თავდაუზოგავად მუშაობენ და განაგრძობენ სამაშველო და ყველა სხვა აუცილებელ ოპერაციებს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, რადგან ჯერ კიდევ არსებობს სტიქიის განმეორების საფრთხე. პირადად ჩემი და საქართველოს მთავრობის სა-



საქართველოს მთავრობის სახელმძღვანელო მუშაობს საგანგებო შტაბში.

ლარიზაშვილმა და პლასანიამ სახმადროებს ბინები გადასსეს

საპარტიზომო ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და საერთაშორისო მისიებში დაჭრილ სამხედრო მომსახურეებს გორში, დროებით სარგებლობაში საცხოვრებელი ბინები გადაეცა.

სიცოცხლის ფასად მუშაობენ და ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას. ჩვენ ძალიან ბევრი გმირი გვყავს, ვმონაწილეობთ საერთაშორისო მისიებში და დიდი ღვაწლი მიგიძღვის საერთაშორისო მშვიდობის დამფარებაში.



ასე, რომ ამას სჭირდება შესაბამისი დაფასება და აღნიშვნა. ქვეყნის იმიჯი განისაზღვრება იმით, როგორ ვზრუნავთ ჩვენს ჯარისკაცებზე, დაჭრილ გმირებზე, ვეტერანებზე. ის, რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ, ეს არის ჩვენი ვალდებულება. მომავალშიც გავგრძელებთ. მიწა, ვუთხრა ჩვენს გმირ ჯარისკაცებს, რომ მათ შუამდგომლობა იმედი, ვინაიდან, ჩვენ გვაქვს მათი იმედი, მთელ საქართველოს მოსახლეობას, — განაცხადა ირაკლი ლარიაშვილმა.

გორში სამხედრო დასახლებაში სამი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დასრულებულია. მც გარემონტებული ბინები 15 ადაპტირებულია სპეციალურად მძიმე და შეზღუდული და აბუსტირებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის. საცხოვრებელი ბინები კეთილმოწყობილია და აღჭურვილია საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და ავეჯით.

გორში სამხედრო დასახლების მშენებლობა 2007 წლის თებერვალში დაიწყო. სამშენებლო სამუშაოებო რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 2008 წლის აგვისტოში გაჩერდა. მშენებლობა 2013 წლის სექტემბრიდან განახლდა.

10 სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინის გადასსეს უშუალოდ პრემიერ-მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა გადასცეს. პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა საცხოვრებელი ბინები პირადად დაათვალიერეს.


როგორც ბინების გადაცემის შემდეგ პრემიერმა ჟურნალისტებს განუცხადა, ჯარისკაცებს მთავრობის იმედი უნდა ჰქონდეთ.

— ჯარისკაცებს ძალიან საპატიო პროფესია აქვთ, მაგრამ, ამავდროულად, აქვთ მაღალი რისკის შემცველი პროფესია. ეს მოითხოვს ძალიან დიდ თავდადებას, თავგანწირვას ქვეყნისთვის. ისინი საკუთარი

ახალი რეჟიმის იხიერებს თუ იზარალებს ბიზნესი სიასლით?

იზინიდან მსხვილ იმპორტიორებს სათბურიდან გამოიყვანა

მსხვილი იმპორტიორები რამდენიმე დღის შემდეგ აღმოჩნდებიან იმ რეჟიმში, რომელიც წესით და რეგით აქამდეც უნდა ყოფილიყვნენ. ისინი პირველ იზინიდან იმპორტის დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბეგრის სპეციალური რეჟიმით ვეღარ ისარგებლებენ. საქართველოს პარლამენტის მიერ „საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები, რაც 200 000 ლარზე მეტი ბრუნვის მქონე იმპორტიორებისთვის შეღავათების გაუქმებას გულისხმობს, 2 კვირის შემდეგ ამოქმედდება.



ცვლილებების ერთ-ერთი ინიციატორი დეპუტატი გოგი თოფაძე აცხადებს, რომ ახალი რეგულაციები იმპორტიორსა და ადგილობრივ მწარმებს, რომელსაც ამ ოდენობის ბრუნვა არ აქვს, თანაბარ პირობებში ჩააყენებს, რადგან კანონი აღარ არის ისეთი დისკრიმინაციული, როგორც ცვლილებების მიღებამდე იყო.

„ბიზნესის დღეს-გადანს მცხინვერად უნდა რეალურად, სახელმწიფო იმპორტიორს მოკლევადიან უპროცენტო სესხს აძლევდა“, — აცხადებს თოფაძე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ეთანხმება მრეწველთა ინიციატივას, რომ გარკვეული კატეგორიის იმპორტიორები საგადასახადო შეღავათებით არ უნდა სარგებლობდნენ.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ბაზარზე იყოს კონკურენტული გარემო და ყველა მწარმე იყოს თანაბარ პირობებში. როგორც აღმოჩნდა, მწარმეთა ნაწილი გარკვეული პერიოდის შემდეგ იხდის დამატებითი ღირებულების გადასახადს, რაც მათ სრულყოფილ პირობებში აყენებს მცირე და საშუალო საწარმოებთან შედარებით“, — აცხადებს ნოდარ საღურა.

ამ დროს უმსხვილესი იმპორტიორები სხვა აზრზე დგანან. დანესეხული შეღავათების გაუქმებით, ისინი საინვესტიციო გარემოს გაუარესების საფრთხეს ხედავენ. ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორის „ალიანს ჯგუფის“ ხელმძღვანელი ამბობს, რომ მსხვილი კომპანიები ყოველთვის უფრო ბიზნესობით ლარს იხდიან. მამუკა ცაგარელი განმარტავს, რომ დღეს-სთან დაკავშირებული შეღავათი კომპანიებისთვის ძალიან მოსახერხებელია, რადგან აქვთ საშუალება გადასახადი არა საზღვარზე განაყოფიერონ, არამედ ოდნავ მოგვიანებით, დეკლარაციის წარდგენისას გადაიხადონ.

ცაგარელი ამბობს, რომ ამ საკითხს კონკურენტისთან კავშირი არა აქვს და შესაძლოა, მან ინვესტორებზე იმოქმედოს უარყოფითად, რადგან ასეთი შეღავათი ინვესტორისთვის სტიმულია. შეღავათის გაუქმებით კი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არაფერი შეიცვლება.

კომპანია „ჯიდი ჰოლდინგშიც“ აცხადებენ, რომ ეს ცვლილება უარყოფითად შეიძლება შეფასდეს და ყველა ასეთი ცვლილება კოდექსში საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედებს.

აღნიშნულ ცვლილებებს მსხვილი იმპორტიორების გარდა, ექსპერტების ნაწილიც ეწინააღმდეგება.

„ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძის განცხადებით, შეღავათები არამცტო უნდა გაუქმებულიყო, არამედ დღეს ყველა იმპორტიორს უნდა მოსსნოდა და მსგავსი კანონპროექტის ავტორები პარლამენტში არ უნდა ისხდნენ.

„მათ სურთ, თავიანთი უფარვის პროდუქტია გაგვასაღებინონ. ეს კანონი სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს, — აცხადებს პაატა შეშელიძე.

ამოკრიბა
გიბა გაბრიჭიძე

აკაკი გულში

წერტილოვანი ფრაზები

- „პრემიის“ მაგივრად „დანამატის“ მიმღებებს „პან-ლურის“ ნაცვლად „ჭიტლაყი“ რომ ამოვკრათ, ჰა?
- კიდევ კაი, ჯერ რო არ ვართ ევროპულად ასოციირებული და ისევ ოლიგარქ-ხათრიან სისტემაში ვცხოვრობთ, თორე ხო მოუნევდა გადადგომა სუბარს და კიდევ ერთ-ორ მინისტრს?!
- 17 მაისი.
- ბაჩო გამოასწრებს იმ ხალხს ციხიდან, ვინც მიზანდროს უსამართლოდ დაიჭირეს, რა სტრანნი ურემია!
- ანტიდისკრიმინაციული კანონი თავისი არსით არის ძალადობრივი. არავინ უნდა მაძალბდეს კონკრეტული პროფესიის, ორიენტაციის თუ მრწამსის ადამიანების ხელის გულზე ტარებას. საქართველოს ყოველი მოქალაქე თანაბრად უნდა იყოს დაცული ძალადობისგან. არ არის საჭირო კონკრეტული ხალხის სასათბურე პირობებში გადანაწილება და ამით სხვა ადამიანების უფლებების შეზღუდვა... შესაბამისად, ძალადობაზე დაფუძნებული კანონი ვერასდროს იქნება ქრისტიანული.
- საქართველო არის ქვეყანა, სადაც პროსტიტუცია დანაშაულია, ხოლო პედერასტობა — პრივილეგია (!);
- საქართველო არის ქვეყანა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი აირჩია პრეზიდენტად;
- საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყველაზე მეტი ნარკოტიკის მოყვარულია, მაგრამ ნარკოტიკი მხოლოდ სახელმწიფოს ხელშია (აფთიაქებში და „პროგრამაში“);
- საქართველო არის ქვეყანა, სადაც თვა თუთბერიძე და სერგო რატიანი ჩვენს შვილებს ლექციებს უკითხავენ;
- საქართველო გ ა ს ხ და ქვეყანა, სადაც მოხუცს და ქალს ტრანსპორტში ადგილი არ დაუთმობენ;

საქართველო არის ქვეყანა, რომელმაც ნაპოლეონი-ს და პიტლერის ჯავრი იყარა და რუსეთი ომში „დაამარცხა“;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მოსახლეობის 50% „ბარსელონას“ გულ შემატყვივრობს, ხოლო 50% — „რე-ალს“. თბილისის „დინამო“ და ეროვნული ნაკრები კი ალარავის ახსოვს;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც სასჯელი ნარკოტიკის გადაზიდვისთვის 14 წლამდეა, ხოლო გაუპატიურებისთვის, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ — 13 წლამდე;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც ორჰან ფამუქი და კოელიოა მოდაში (განზრახ არ ვკითხულობ არც ერთს!);

საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყველაზე მეტია აქტივისტი, „ზვიადისტი“, „მიშისტი“ და „რავიციკიდევისიარასტი“;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც სპორტსმენები და მსახიობები კარიერას პოლიტიკაში აგრძელებენ;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც „არასამთავრობოებს“ მთავრობაზე მეტი ძალა აქვთ;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც გენდერული ბალანსი უკვე ქალების სასარგებლოდაა დარღვეული;

საქართველო არის ქვეყანა, რომლის დედაქალაქში, ილია ჭავჭავაძისა და პეტრე მელიქიშვილის გამზირების საზღვარზე ტარს შევჩენვოს (!) ძეგლი დგას, დავით აღმაშენებლის ცხენს კი უკანალი მოუშვებია თბილისისთვის;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყველაზე ადვილი მოსატყუებელია ამომრჩეველი, რომელსაც ყველაფრის



შაბათ-კვირის ჩანაწერი

საროსკიკო კოვაოზიბორთა კავშირი?!

აი, შარი: ეს მოდაგებები და ერთმანეთის მლანძლავი ორივე მხარე, ჩემთვის (და უამრავი ქართველისთვის) ძვირფასი ადამიანები არიან. არადა, მთავარი რედაქტორი მეუბნება, გამოვეხმაურეთ ჩვენც ამ საკითხს, აგერ, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის საგანგებო განცხადება შემოვიდა რედაქციაში.

კავშირის თავმჯდომარემ კახა ცაბაძემ გამგეობას წარუდგინა ქ. თბილისის შსს ძველი თბილისის სამმართველოს V განყოფილების ოფიციალური წერილი მის განცხადებაზე.

საბამისი გამოკითხვის ოქმები და დადგინდა, რომ ადგილი არ აქვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას. შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიება არ დაინებდა.

შეაღწევი სკოლა

ბელის ტურიზმით დაინტერესებული!

სასწავლო წელი დასრულდა, სწავლა და ძიება გრძელდება!

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის (ამჟამად თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი) დაფუძნდა 1996 წელს პროფესორ ნუგზარ წერეთლისა და სერგო ყურაშვილის მიერ. სწავლის დაწყებისთვის ორგანიზაციულ მომზადებას დასჭირდა 3 წელი.

მოქმედებს თბილისის ტურიზმის აკადემია. სასწავლებელი ავტორიზებულია, გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომს, რომელიც მუშაობის დანყების საიმედო გარანტიას იძლევა.



იხ. 11 გვ.

სურსათი

„სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ კანონპროექტი, რომელზეც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტები, ფაქტობრივად, კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებულთან, 2012 წლის დეკემბრიდან მუშაობდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად.



სარკეშია ხანის კანონპროექტიდან პითომ საჭირო კანონს მივიღებთ?

იმითაა განპირობებული, რომ მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში კუსტარული წარმოების პროდუქციის პროდუქციის საფარველი კონტროლის დაწესება 2020 წლამდეა გადავადებული.

ანუ შევისაღოთ ხუთიოდ წელი და მერე გვეტყვიან, რა გვარებას და რა მოგვეკლავს (!)

ექვემდებარება. მთავრობის ამ, ასე ვთქვათ, „სანახევრო გადანყვეტილებას“ იმით სსსინან, რომ სახელმწიფოს არ ძალუძს იმის გაკონტროლება, თუ რამდენად შეესაბამება დღესდღეობით ფიზიკურ პირთა მიერ წარმოებული პროდუქცია დადგენილ სტანდარტებს.

შემომების მექანიზმები არ არსებობს – ყველა ოჯახში შესვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით საცხებით ბუნებრივი იქნება ვიკითხოთ: რა, ბატონებო, ყველა რძის, მანვნის, კარაქის, ყველის, ფრინველის, ხორცის, ღვინის, ჩურჩხელის და კიდევ ათასი სხვა პროდუქტის მწარმოებელთან შესვლას 2020 წლიდან შეძლებთ თუ თქვენც მოლა ნასრედინივით ფიქრობთ – მანამდე ან ვირი მოკვდება ან ვირის პატრონი და ამა კანონის მიმღებთა ვინაობის გამოძიებასა და, მით უმეტეს, პასუხის მოთხოვნას არავინ დააპირებსო?!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

როდისაც ევროკავშირმა ხუთი წლის წინათ ამოქმედდა „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამა, ყველას კარგად უნდა ხსოვდებოდა, თუ რა იყო მისი დანიშნულება: გამოეყენა პოსტსაბჭოთა საფაქრო-ევროპიკური ბლოკიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა წევრი, გარდა რუსეთისა და მიუღწეა რუსეთის იზოლაციისთვის არა მხოლოდ ევროპაში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც.

ექვსი ქვეყანა, რომლებიც იყვნენ და დღემდე არიან „აღმოსავლური პარტნიორობის“ მიზანი და, რომლებიც სარგებლობენ ამერიკის მხარდაჭერით, ისწრაფვის, დაამთავროს ევროე წოდებული ევროატლანტიკური ინტეგრაცია. და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ჩართოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემადგენლობაში ის ახალი წევრები, რომლებიც არიან ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში. ესენია ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. იმ დროს, როდესაც ევროკავშირის საბჭოზე განიხილავდნენ საერთო საკითხებსა და საგარეო კავშირურთიერთობებს, 2008 წლის მაისში პირველად წარმოადგინეს „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამა, ექვსივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა იყო დსთ-ს წევრი.

„აღმოსავლური პარტნიორობა“: დასავლეთის ტრასს სხენი და ტარანი პოსტსაბჭოთა სივრცეში

სამი თვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის ქართულმა რეჟიმმა დაიწყო სრულმასშტაბიანი შეტევა სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ, რაც დაემთხვა დროში უკენში ოლიმპიური თამაშების გახსნას, და ამით მოახდინა რუსეთთან ხუთდღიანი ომის პროვოცირება. მალე ამის შემდეგ საქართველომ მოახდინა დსთ-დან გამოსვლის პროცესის ინიცირება, რაც ოფიციალურად დასრულდა იმავე წლის ოქტომბერში.



სამი თვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის ქართულმა რეჟიმმა დაიწყო სრულმასშტაბიანი შეტევა სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ, რაც დაემთხვა დროში უკენში ოლიმპიური თამაშების გახსნას, და ამით მოახდინა რუსეთთან ხუთდღიანი ომის პროვოცირება.

მიმდინარე წლის მარტში, უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ძალადგინების შემდეგ, უკრაინის პარლამენტმა პუტინისტების ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ. „აღმოსავლური პარტნიორობის“ აშკარა მიზანი არის ის, რომ მიიღოს დსთ-ს, საბაჟო კავშირის – რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის შემადგენლობით – ლიკვიდაცია და კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაცია. იგი არის უშიშროების უზრუნველყოფის ერთადერთი მრავალეროვანი სამხედრო მექანიზმი პოსტსაბჭოთა სივრცეში, აერთიანებს თავის რიგებში რუსეთს, სომხეთს, ბელარუსს, ყაზახეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს.

შეთანხმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, რომელიც შარშან 21 ნოემბერს უარყო უკრაინის მთავრობამ, რაც თითქოსდა გახდა პროტესტების მიზეზი, მოგვიანებით კი სისხლიანი და გამანადგურებელი შეტაკებებისა და ოპოზიციურ ძალებთან, იგეგმებოდა „აღმოსავლური პარტნიორობის“ ეგიდით.

კვივის ხუნტა ამჟამად ასწრებს წინა ადმინისტრაციის „შეცდომას“ თავისი დასავლელი სპონსორების კარნახით. ამას გარდა, ანალოგიური შეთანხმებები ხელმოწერილი იქნება მალე მოლდოვისა და საქართველოს პროდასავლური მთავრობების მიერ.

ექვსი ქვეყნიდან, რომლებიც გაერთიანებული არიან ევროკავშირის „აღმოსავლური პარტნიორობაში“, ოთხი შედის ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით შექმნილ სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) ბლოკში, დანარჩენი ორი კი არიან არატრადიციული აზიის ქვეყნები (თუ რუსეთს არ მივიღებთ მხედველობაში). ესენი არიან სომხეთი და ბელარუსი. როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ სტატიაში იყო აღნიშნული, ვაშინგტონსა და ბრიუსელს ჯერ დასჭირდებოდა განახორციელონ ევროე წოდებული ფერადი რევოლუციები ორ უკანასკნელ ქვეყანაში, რისთვისაც ისინი, უეჭველია, აქტიურად ემზადებიან ბელარუსში 2006 წელს წარუმატებელი ვასილკოვის რევოლუციის შემდეგ.

მაშასადამე, ამჟამად დასავლეთის ტრიადა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და ნატოს შემადგენლობით აქცენტს აკეთებს „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამი კანდიდატზე ყველაზე მრავალსაღმთქმელი პერსპექტივებით – ესენია უკრაინა, მოლდოვა და საქართველო.

ინტეგრაცია ევროკავშირთან, როგორც ყოველთვის, განხორციელდება ერთდროულად პარტნიორობის სრულყოფილი ინდივიდუალური გეგმებით, შემდეგ კი – ნატოში წევრობის მომზადების პროგრამით. დასავლელი წარმომადგენლები დაქრიათ „აღმოსავლური პარტნიორობის“ ქვეყნების დედაქალაქებს შორის, ბელარუსის გამოკლებით, რომლის მთავრობამაც, როგორც ჩანს, მოლოდინის პოზიცია აირჩია – თვალყურს ადევნებს იმას, თუ რომელი მხრიდან დაუბერავს ქარი. ამიტომ აზრი აქვს თვალყურს ადევნო მათი გადაადგილების, მარშრუტებისა და დღის წესრიგების ტრეკტორიას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიას მთელი ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ვაშინგტონში (რაც თავისთავად უპრეცედენტოა) ატლანტიკურ საბჭოში გამოსვლის და თავდაცვის მინისტრ ჯაკ შივსონთან და ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენტთან შეხვედრების შემდეგ. დედაქალაქში თავისი ყოფნის უკანასკნელ დღეს მან გამართა შეხვედრა ევროპულ და ევრაზიულ საქმეებში სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ვიქტორია ნულანდთან. ერთი სიტყვით, მიიღო ბრძანება შეტევაზე. ოფიციალურ განცხადებაში შეხვედრების შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ეს ორი პირი და მათი დელეგაციები განიხილავდნენ „თავდაცვის სფეროში პარტნიორობის“ და „უკრაინის მოვლენების“ საკითხებს. ექვსივე შედეგად, რომ ამ ამბავს შორის არის გარკვეული კავშირი.

როდესაც საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი იმყოფებოდა ამერიკის დედაქალაქში და მოუწოდებდა ნატოს, განაღდოს მის ქვეყანაში სახელმწიფო, ტანკსაწინააღმდეგო და სხვა შეიარაღების სისტემები (ეს იყო 30 აპრილს ატლანტიკური საბჭოს ყოველწლიურ კონფერენციაზე), ნატოს გენერალური მდივნის თანამშრომელმა კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ჯეიმს აპატურაი ჩავიდა თბილისში, სადაც დაადასტურა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს „კიდევ უფრო დაახლოვებს“ სრულყოფილებიან ევროპასთან, აგრეთვე მხარი დაუჭირა ალასანიას წინადადებას ამ ქვეყანაში სამხედრო ტექნიკის გაგზავნის შესახებ.

8 მაისს, მოლდოვისა და უკრაინის მოვლის შემდეგ, საქართველოში ჩავიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ ჰეიგი, რომელმაც დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა მთელი გულით უჭერს მხარს „საქართველოს მოძრაობის ევროატლანტიკურ ტრაექტორიას და მის ტერიტორიულ მთლიანობას“. ეს უკანასკნელი – ირიბად გადაკრული ნათქვამია საქართველოს მთავრობის გეგმებზე, დაიქვემდებაროს დამოუკიდებელი აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი.

მან ასევე მოუწოდა საქართველოს ხელი მოაწეროს შეთანხმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ გეგმის თანახმად შემდეგ თვეში. როდესაც ჰეიგს მისცეს შეკითხვა ალასანიას მოწოდებასთან დაკავშირებით ნატოს სამხედრო ძალების განლაგების შესახებ საქართველოში, მხარი დაუჭირა ამ იდეას, და განაცხადა: „რასაკვირველია, ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ნატოსა და საქართველოს შორის“.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნაცვლის შემდეგ თბილისში ჩავიდა ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს კანცლერი მიკ მარანი, რათა განეხილათ სწავლების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ნატოში შესვლის პროცესის დაჩქარებას.

13 მაისს საქართველოს დედაქალაქში ჩავიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, რომელიც მანამდე აზერბაიჯანსა და სომხეთში იმყოფებოდა. საფრანგეთის სახელმწიფო მეთაური აგროვებდა დამატებით ჯარებს საფრანგეთის სამხედრო მისიისთვის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, აგრეთვე წყვეტდა სხვა ამოცანებსაც. თბილისში ყოფნის დროს იგი იმეორებდა უილიამ ჰეიგის გამონათქვამებს, ჰპირდებოდა, ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობების თანახმად, რომ „მხარს დაუჭირდა შეთანხმებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციაციის შესახებ, აგრეთვე... საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“ (ჰეიგმა, ამას გარდა, მადლობა გადაუხადა საქართველოს, რომ იგი ეხმარება ნატოს ჯარებს ანარმოოს ომი ევლანეთში და ასევე ევროკავშირის ჯარებს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში).

მეორე დღეს საქართველოში ჩავიდა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ჰერმან ვან რომპეი, რათა შეხვედროდა ქვეყნის ხელმძღვანელობას. იქ ყოფნის დროს მან განაცხადა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციაციის შესახებ 27 ივნისს ბრიუსელში – „ეს ჩვენი თანამშრომლობის უკანასკნელი მიზანი როდია“.



დედაქალაქის ზურგზე



კოლუმბიაში ავტობუსში ხანძარი

ინციდენტი ქალაქ ფუნდასიონთან ახლოს მოხდა ქვეყნის დედაქალაქიდან 750 კილომეტრზე. გადარჩა 18 მგზავრი, დაღუპულთა შორის არის ერთი მოზრდილიც. ხანძრის გაჩენის მიზეზებს ადგენენ. კოლუმბიის პრეზიდენტი ტრაგედიის ადგილზე ჩავიდა.

სერაპიალური დამბლით დაავადებულმა ყოფილმა ჩხსმა ობოლმა გავიდა, რომელიც ავარიკალურად იზოლირებული იყო და დაინახა 31 წიხანი ვიილო და დაინახა წიხნი

რუსეთში ვანია პასტუხოვი ცერებრალური დამბლის გამო მიიწინეს ისეთ ადამიანად, რომელსაც არ შეუძლია სწავლა და სამი წლის განმავლობაში იგი ჰყავდათ დიდების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში მან მიიღო საშუალო განათლება, გახდა სკაუტების მოძრაობის აქტივისტი და დაწერა წიგნი „ბიჭი № 10 საბავშვო სახლიდან“.

ვიეტნამიდან სისხლიანი ღარბუბების შემდეგ 4 ათასი ჩინელის ევაკუაცია განხორციელდა



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მოაწყო ჩართებული რეისები და თავისი მოქალაქეების ევაკუაციის ორგანიზებისთვის ვიეტნამიდან ანტიჩინური დარბევების სერიების შემდეგ იქ გაგზავნა სპეციალური ზომალდები. ტურისტებს ჩინეთიდან ურჩევენ გადადონ მგზავრობა ვიეტნამში, ასევე გაყინულია სახელმწიფოთა შორის ორმხრივი პროგრამების ნაწილი.

ინფორმაცია

2014 წლის 15 ივლისს 13 საათზე, ყაზბეგის რაიონის სოფელ კობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (ს-3) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 107-ე კილომეტრზე მდ. ბიდარაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა შემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- სოფ. კობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამბეჭდილი ვერსია).

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიიღოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს; რუსუდან ლოლიჯაშვილის ტელ: 599214048 და ლუიზა ბუბაშვილის ტელ: 595219141. likabubashvili@yahoo.com.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

სოციალური იგი უნდა იქნებოდეს!

არის ზოგიერთი რამ, რომელიც სამარადისო მოგონებად გახსენდება ადამიანის ცხოვრებას, ეს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებზე ითქმის, რომელთა შესახებ წერტილები შენთვის უძვირფასეს ადამიანებს უკავშირდება. უამრავ ასეთთან ჩემთვის განსაკუთრებით გამორჩეულია 1979 წლის 17 ოქტომბერი და 1988 წლის 17 აგვისტო. მით უფრო, რომ ორივე ეს თარიღი უსაყვარლეს მწერლებს, ორ რეზოს — რეზო ინანიშვილსა და რეზო გაბრიანიძეს უკავშირდება.

1979 წლის 17 ოქტომბერს, „კაკაბეთის ზარების“ გადაღებისას, დულდა და ბობოქრობდა სოფელი, სადაც პირველი ქვეშაირი სახალხო ყრილობა გაიმართა და ეს ყრილობა იმათზე მსჯელობდა, რომლებმაც თბილისელი სარიშვილების ოჯახიდან გატაცებული ბავშვი ფულის გამოძალკის მიზნით გადაიღეს.
იმ დღეს მე და ამ გადაცემის რეჟისორმა, უნიჭიერესმა ქალბატონმა ნინო ქართველიშვილმა გამოსვლის ტექსტი ყველა ორატორს გამოვართვი, რათა სახალხო ყრილობა ქვეშაირი სახალხო ყრილობად დაარსებულიყო და კოლმეურნეთა იმ შეკრებას არ დამსგავსებოდა, რომლისთვისაც გამოსვლებს ჩვეულებისამებრ ან სპეციალურად ამ მიზნით მიწვეული რომელიმე კაცი ყველას მაგივრად წერდა სოლმე.
ერთადერთი გამონაკლისი რეზო ინანიშვილი გახლდათ, რომელსაც არ შეეკადრებოდა ვერც შეეკადრებოდა, ტექსტი გამოგვერთვა. მით უფრო, რომ მალევე დაგვრწმუნდით,

ამის საჭიროება არ არსებობდა. თავისი საოცრად ემოციური გამოსვლა ისე ჩაატავა, ტექსტი არც კი ჩაუხედავს.
* * *
1988 წლის ზაფხულში მარიონეტული ხელოვნების ქვეშაირი მაგი, უნიჭიერესი მწერალი, რეჟისორი და მხატვარი რეზო გაბრიანიძე სწორად სტუმრობდა ქუთაისს და აპირებდა რიონისპირა ქალაქში მარიონეტების ახალი თეატრი შეექმნა. ამისთვის არა მარტო შენობა შეარჩია, არამედ დირექტორიც — იუმორით გაძედილი ქუთაისელი, მისი ძირძველი მეზობელი და უფროსი მეგობარი, ჩემი თანაკლასელი ვაჟა ჭყონია. ეს სწორედ ის ვაჟა ჭყონიაა, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემულმა და უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულმა „სიცილის კარდოგრაფიამ“ ბევრი თავყვანისმცემელი შესძინა.
ქუთაისში ყოფნისას ბატონი რეზო მოსწავლეობის დროიდანვე, მისი, როგორც ქურნალისტი და კარიკატურისტი აღმზრდელ გაზეთ „ქუთაისის“ ხშირი სტუმარი იყო და ბევრჯერ სახელდახელოდ წამომაშველებმა სოლმე კრიტიკული სტატიების დასურათსატეხას და გაზეთის გვერდებს მაღალგემოვნებიანი მხატვრის ხელწერით ამკობდა. ეს განსაკუთრებით ეკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების გაფორმებისას იგრძნობოდა და აბოთოვოს მიაღწია ჩემი და ჩემი უმცროსი კოლეგის, ნიჭიერი ქურნალისტის ნანული ცხვედიანის მიერ ცნობილ მეცნიერებთან თანავტორობით მომზადებული 17 აგვისტოს ნომრის დასურათსატეხისას,

რომელმაც ქალაქი, მისი ღირსშესანიშნაობები და გელათის მონასტერი მშენებარე კარბიდის ქარხნით გამოწვეული შესაძლო ეკოლოგიური კატასტროფისაგან იხსნა.
* * *
რბოში გადავწყვიტე მკითხველისათვის გამეცნო ჩემთვის უძვირფასესი ეს ორი რელიკვია?
კაკაბეთის ზარების დარისხებისა და ამ გადაცემით განხორციელებული სატელევიზიო „სოკური თერაპიის“ შემდეგ, 12 წლის განმავლობაში საქართველოში არ განმეორებულა ფულის გამოძალკის მიზნით ადამიანთა გატაცების არც ერთი შემთხვევა. ეს ხდებოდა მანამ, სანამ ჩვენს ქვეყანაში დიდი კატაკლიზმები დაიწყებოდა და სახელი-სუფლო წრეებში აღზევებულ მედროვეთაგან მავანი ჭაობში არ ჩაეფლობოდა.
საბედნიეროდ, ეს ჭირი, როგორც იქნა, მოვიშორეთ და დღეს აღარც „ლეკიანობა“ გვანუხებს, მაგრამ „ლეკიანობის“ ნაცვლად ახალი სენი გაჩნდა — მავთულსლართები და ოკუპანტური „რუსიანობა“, რომელიც ურცხვად გვტაცებს ადამიანებს.
განგაშის ზარები ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ისტორიულ ძეგლთა და განძთა დასაცავად მთელი ძალით არის დასარისხებული. ამაში კი ჩემი ღრმა რწმენით წარსულის გახსენება და სულგანათლებული მწერლის სიტყვებიც წამოგვეშველება, რამეთუ „სიტყვია იგი იყო ღმერთი და სიტყვია იგი იყო ღმერთთან“.
ალექსანდრა შენგელია

1890 წელს ქართველ ხალხს მოეწვინა პატარა ნიგნაკი, რომელიც დაწერილი იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ და სახელად ერქვა „იავნანამ რა ჰქმნა“. აი, უკვე სადაცაა ოთხმოცდაათი წელი გახდებოდა ამ ნიგნაკის დაბეჭდვიდან და ამ ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში, ალბათ, ვერ მოძებნიდნენ საქართველოში ოჯახს, სადაც შეძრწუნებულებს არ წაეკითხოთ, როგორ მოიტაცა ორმა ბავჯაჯღანა ლეკმა პატარა ქეთო და როგორ გაყიდეს იგი დაღესტანში. ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში ამ ნიგნს შიშის ძრწოვასთან ერთად ყოველ ოჯახში მიჰქონდა სისარულიც, რომ ყოველი ამგვარი უმსგავსობა, ადამიანები ვაჭრობა და სხვა, წარსულს ჩაბარდა. აღარსად აშინებდნენ პატარებს — შორს ნუ წახვალ, ლეკი ან თათარი მოგიტაცებსო. იყო ომები, გაჭირვებები, შიმშილი, სიმკაცრე, მაგრამ ქართველი ხალხი საბოლოოდ იყო დარწმუნებული, რომ ლეკიანობა დამთავრდა. ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, ყველაზე მძაფრად მე-17 საუკუნეში რომ მივინვარებდა, კიდევ უფრო ადრე დამთავრდა — ბევრის თვალისწინის დაბნელება და მინაზე დაგორებულ თავად დაუჯდა

სისრუე ბაღებს სისრუეს

რეზო ინანიშვილის სიყვარული სახალხო ყრილობაზე 1979 წლის 17 ოქტომბერს

ეს დამთავრება ქართველობას... დღეს კვლავ ატყდა შემაზრუნევი განგაშები — ბავშვებს იტაცებენ, ბავშვების მოკვდინების მუქარით უზარმაზარ გამოსასყიდს. სოხოვენი მშობლებს.
ვინ იტაცებს და ვინ თხოულობს ამ გამოსასყიდს?
მომხვედრი კი აღარ — ჩვენივე სისხლი და ხორცი, ჩვენი თანამემამულენი.
აქამდე თუ შორიდან მოდიოდა ეს საგანგაშო ხმები ჩვენს რაიონში, ახლა თვითონ აქ მოხდა ერის, ჩვენი ადამიანობის შემარცხველი უმძიმესი დანაშაული. ახლა უკვე აქედან წავიდა მთელს ქვეყანაზე შემამრწუნებელი ხმა.
მადლობა ღმერთს, რომ აღმოჩნდნენ კაცური კაცნი, რომლებიც ძვირად დაუჯდათ ეს კაცური — მაგრამ დამნაშავენი შეპყრობილნი არიან და ყველანი დაისჯებიან უმკაცრესად, რა სიმკაცრეც შეუძლია გამწარებულ, მოთუნებულ-ამონურულ ხალხს. ხალხმა ხეს შეჰბლა და ხე გახმო!

ჩვენი ხმა გააკეთებს იმას, რასაც ჩვენი ბავშვების დედების გულები იძახიან, რაიც საჭიროა, რომ ნაწილობრივ მაინც ჩამოერეცხოს სირცხვილის ლაქა ჩვენს ერს. ცოტა მოულოდნელი იქნება ჩემი განცხადება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ახლა, აქ, ამ სახალხო ყრილობაზე, მარტო ეს აღარ არის მთავარი, ჩვენი მრისხანების გამოხატვა! ახლა აქ, ერთ უმთავრეს საკითხთან და მიმართა დაფიქრება და გამოძიება იმისა, თუ რა უნდა იყოს მიზეზი, მკვებავი წყარო, იმგვარი საშინელებების აღმოცენებისა, როგორც ბავშვების გატაცება.
მე ამ კითხვაზე ჩემებურად ვუპასუხებ, სხვას შეიძლება სხვა პასუხი ჰქონდეს — მე ამ

საშინელების მიზეზად მომხვეჭელობა, ქურდობა (რა სახისაც არ უნდა იყოს ის), უძლომლობა და პარპაშის მოყვარულობა მიმაჩნია.
სიცრუე ბაღებს სიცრუეს! დანაშაული — დანაშაულს!
სანამ ჩვენს გვერდით ფასი ექნება პარვით აღზევებულთ, სანამ ამ მპარავთ, იოლად დამდიდრებულთ, საშუალება ექნებათ პარპაშისა, ათასებისა და ათათასების ტრილისა ყველას თვალწინ, ყოველთვის იქნება მოსალოდნელი ყოველი სახის უსაშინელესი დანაშაულებანიც.
წინ აღვედგეთ, აღვეკვეთოთ ავისმქნელთა ეს თითქოსდა უმტკივნეულო პარპაში და აღვეკვეთავთ მძიმე დანაშაულებასაც.
ხალხმა ყველაზე უკეთ იცის, ვისი ხელი რას წარმოადგენს.
ნუ გავუწვდით სირცხვილის ჭუჭყით მოსვრილ ხელს ჩვენს საკუთარ მარჯვენას და თუ გავუწვდით, იმ ჭუჭყიანი ხელის პატრონმა იგრძნოს, რომ მოვიდა მისი ავკაცობის შემშუსკრელი ძალა.
ფიცი დავდოთ იმათი სულების წინაშე, ვინც თავი შესწირა ჩვენი სამშობლოს სახელს და ვისი უკვდავსაყოფი ძეგლის წინაშე ჩვენ ახლა ვდგავართ.





ბაკუფრთხილდეთ მშვენიერ ქუთაისს!

ბატონო რედაქტორო!
გუშინ დავბრუნდი სოფლიდან, სადაც ვიმყოფებოდი ავადმყოფობის გამო და დამახვედრეს თქვენი გაზეთის 17 აგვისტოს ნომერი.
ძალიან გულწრფელი ვიქნები: თავიდან მომეჩვენა, რომ ეს იყო რომელიღაც უცხოური გაზეთის გვერდების ჩვენი ასლი, მაგრამ მერე აღტაცებული დავრჩი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე არ მახსოვს ჩვენი პრესის მხრიდან ასეთი თვალნათლივი, გაბედული და კატეგორიული გამოსვლა იმ „საქმიანი წრეების“ წინააღმდეგ, რომლებიც ხშირად საკუთარ ბაგაში თავიყრიდნენ, ვერ ამჩნევენ, ან უფრო სწორად — არ უნდათ შეამჩნიონ, რა ავსაქმეს უკეთებენ ჩვენს დედამინას, პირველ რიგში, ადამიანებს, თვით თავიანთ თავსაც კი.
არ ენდოთ ზოგად დაპირებებს, რა ადმინისტრაციული სიმაღლიდანაც არ უნდა მოდიოდეს ისინი. როცა ბაიკალის ტბის მახლობლად უზარმაზარი ცელულოზის კომბინატის მშენებლობა იწყებოდა, კომუნისტური პარტიის პოლიტიბუროც კი თავდებობდა, რომ იგი არავითარ ვნებას არ მოუტანდა ბაიკალის ტბას. მართლაც მშენებლობა მიმდინარეობდა სულ უმაღლესი ავტორიტეტების დამლეობით, მაგრამ აშენდა კომბინატი და არ გაამართლა დანაპირები. იგი საშინე-

ლი სისწრაფით სწამლავდა ტბას. იძულებულნი გახდნენ, ცელულოზის კომბინატი ავეჯის კომბინატად გადაეკეთებინათ (ავეჯის ქარხანა ნაკლები რაოდენობის მომწამვლელ ნივთიერებებს გამოყოფს), მაგრამ არც ამან გაამართლა. ქარს გატანებული აღმოჩნდა მილიონები და მილიონები. და რაც უფრო მთავარია — რწმენა, რომ ჩვენ, ადამიანებს, შეგვიძლია დიდი სასიკეთო საქმეების კეთება ქვეყანაზე.
ძალიან აშკარაა: ქუთაისს არ ჭირდება კალციუმის კარბიდის ქარხანა. ყველანი გავუფრთხილდეთ მშვენიერ ქუთაისს!



გულითად მადლობას გიხდით, ბატონო ალექსანდრე, პირადად თქვენ და პუბლიკაციის ყველა ავტორს დიდი საქვეყნო საქმის კეთებისათვის. გვიგულეთ თქვენს გვერდით რიგით ქართველებად მაინც!
ულრმესი პატივისცემით
რ.ინანიშვილი.
25.08.88
მწერალ რეზო გაბრიანიძის კარიკატურები საეციალურად გაზეთ „ქუთაისის“ 1988 წ. 17 აგვისტოს ნომრისთვის.

ღღასანაული

ღღეს ზედაზნობაა, გილოცავთ!

20 მაისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს იოანე ზედაზნელს და მის თორმეტ მოწაფეს, რომლებიც ასურელი მოღვაწეები იყვნენ.

...იოანე ზედაზნელმა და მისმა თორმეტმა მოწაფემ წმინდა მოციქულთა სწორი - ქალწული წინის მოციქულ საქართველოში სამონასტრო ცხოვრება დაამკვიდრეს.



ცნობილია, რომ ზედაზენი უწყლო ადგილი იყო... თავისი მოწაფის ფიცხელი შრომის შემხედვარე იოანემ უფალს წყაროს აღმოცენება სთხოვა.

სახიერმა უფალმა ისმინა წმინდა ბერის ვედრება და მთის მწვერვალზე მაკურნებელი წყარო აღმოაჩინა.

ზედაზნის მონასტერი დაარსებულია VI საუკუნეში. ის არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედის წვერზე, მცხეთიდან 8 კმ ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე დარბეული მონასტერი შეაკეთეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და ექვთიმე ბერმა. ზედაზენი დღითი დღე ლამაზდება...

...სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით აქ აშენდა საცხოვრებელი სახლი ბერთათვის, ბაზალტის ფილებით მოპირკეთდა წმინდა იოანე ზედაზნელის საფლავი, რომელიც მონასტრის მთავარი სინამდვილეა.

ზედაზნის სამონასტრო კომპლექსი 20 მაისს მომლოცველებითაა სავსე, ისინი ყოველწლიურად სასწაულის მოწმენი არიან. ამ ღღეს ტაძრის კედლები მთლიანად იცვარება და წმინდა წყალი გადმოდის.

გიული ლიპარტია

მცირე ენციკლოპედია

„ფულის ბოროტობა“ მიგრაცია

ბოლო ათი წლის განმავლობაში მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანებისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა დიდი ბრიტანეთია - ეს დასკვნა კონსალტინგური კომპანიის „ნიუ უორლდ ფელტის“ სპეციალისტებმა გამოიტანეს.



მათი ანგარიშის თანახმად, 2003-13 წლებში ამ ქვეყანაში მიმდინარე საცხოვრებლად 114,1 ათასზე მეტი პირი გადავიდა, რომლის ქონება მილიონ დოლარს აღემატება (!). დიდი ბრიტანეთის შემდეგ მილიონერებისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა სინგაპური, სადაც დროის ამავე მონაკვეთში დაახლოებით 58 ათასამდე შეძლებული კაცი ჩავიდა საცხოვრებლად, მესამე პოზიციაზე კი ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლის მდიდართა რიცხვს 42 ათასი კაცი შეემატა სხვა ქვეყნებიდან.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ სხვებზე ხშირად უცხოეთში ჩინელი ნუფორიშები მიდიან - ბოლო წლებში ქვეყანა 76 ათასმა მილიონერმა დატოვა.

ბურთი კალათში

1891 წლის 1 დეკემბერი, დაახლოებით შუადღის 11-დან 13 საათამდე მსაჩუნესტის დროით - ეს ის მონაკვეთია, რომელიც სადღესღობო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდური თამაშის, კალათბურთის დაბადების თარიღად მიჩნეულია.

123 წლის წინათ პატარა ქალაქ სპრინგფილდის კოლეჯის ფიზკულტურის მასწავლებელმა ჯეიმს ნეისმიტმა მოსწავლეთათვის მოძრავი თამაში გამოიგონა, რომელსაც ძალიან მოსწონდათ ტანვარჯიში.



მან სპორტული დარბაზის მოპირდაპირე კედლებზე ატმის ჩასანაცობი ორი კალათი ჩამოკიდა, მოსწავლეები ორჯგუფად დაყო, მისცა ბურთი და მისი კალათებში ჩადგება შესთავაზა - დათქმულ დროში ვინ უფრო მეტს მოასწრებდა. მხიარული ჟივილხივილი ორ საათს გაგრძელდა, რის შემდეგ ახალგაზრდებმა მისტერ ნეისმიტთან ერთად ახალი თამაშის ძირითადი წესები შეიმუშავეს - მოთამაშეს ბურთი ცალი ხელით უნდა ეტარებინა, კალათში ის დაბლოკვის საზის გარეშე უნდა ეტყორცნა და სხვ. ასე გაჩნდა ახალი დიდებული თამაში კალათბურთი - „ბურთი კალათში“, რომელსაც დღესდღეობით მსოფლიოში ასიათასობით ორივე სქესის წარმომადგენელი უდიდესი ხალხით თამაშობს.

პასივიზმის ფასები

მატირალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების შეილები ქრონულ სტრესს განიცდიან, ამიტომ მონიფულ ასაკში ისინი სამყაროს ტრაგიკულად აღიქვამენ, - ეს მეტად სევდიანი დასკვნა ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ახლახან დასრულებული კვლევის შედეგად გამოიტანეს.

მეცნიერებმა 24 წლამდე ასაკის 50 კაცის თავის ტვინის აქტივობა გააანალიზეს. მათგან ნახევარი ლარობ ოჯახებში, დანარჩენები კი უზრუნველყოფილ ოჯახებში გაიზარდნენ. ტესტის მონაწილეებს სევდიან სურათებს აჩვენებდნენ. მაგალითად, ზოგიერთზე საყდართან მტირალი ხალხი იყო გამოსახული, მოხალისეებს კი უნდა წარმოედგინათ, რომ ჯვრისწერის შემდეგ ხალხი მოძალებული სიხარულისგანათვალცრემლიანი. ანდა, სურათზე აღბეჭდილი იყო ნაცემი ქალი, რომელიც თამბაქოს ეწევა, არადა გამოსაცემლებს უნდა წარმოედგინათ, რომ ესაა მსახიობი ქალი, რომელიც გადაღების დროს შესვენებაზე სიგარეტს აბოლებს. ლარობ ოჯახებში გაზრდილებს ამ ამოცანის გამკლავება ნორმალურ პირობებში გაზრდილებზე გაცილებით მეტად უჭირდათ. საგულისხმო კიდევ ისაა, რომ შეთავაზებული სიტუაციების აღქმაზე მონიფულ ასაკში პიროვნების ფინანსური შემოსავალს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მდიდართა საქურჭლე

მშობლები დროსა და ყველანაირ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობაში სიმდიდრე არათანაბრად იყო გადანაწილებული. ეს როგორც ქვეყნებს, ასევე, ცნადა, განსხვავებულ სოციალურ ფენებს, ადამიანთა



ცალკეულ ჯგუფებს, ასევე კონკრეტულ პირებს შორის მუდამ ყოფის განსხვავებული პირობების უპირველესი განმსაზღვრელი იყო და ამჟამადაც ასეთად რჩება.

ამჟამად მსოფლიო სიმდიდრის დაახლოებით ნახევარი (46 პროცენტი) დედამიწის მოსახლეობის ერთი პროცენტის ხელშია მოქცეული (!), რომლის კუთვნილი აქტივების ფასი 110 ტრილიონ დოლარს აღემატება. ეს დაახლოებით 32-ჯერ მეტია, ვიდრე მთელი მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის ქონება.

საქველმოქმედო ორგანიზაციის „ოქსფემის“ სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევით ირკვევა, რომ მსოფლიოს 85 უმდიდრესი კაცის მთლიანი ქონება - 1,7 ტრილიონი დოლარი - დედამიწის ლარობი მოსახლეობის ნახევარის (დაახლოებით 3,6 მილიარდი კაცის) ქონებაზე მეტია.

შარშან უმდიდრესთა სიას კიდევ 210 მილიარდერი შეემატა, ამდენად ეს სია 1426 კაცამდე გაიზარდა, მათი ქონება კი 5,4 ტრილიონ დოლარს აღწევს.

გამოკვლევის ავტორებს ინდოეთის მაგალითი მოჰყავთ, სადაც ბოლო ასი წლის მანძილზე მილიარდერთა რიცხოვნობა ექვსიდან 61 კაცამდე გაიზარდა და ახლა ისინი მთლიანად 250 მილიარდ დოლარის ღირებულების აქტივებს ფლობენ.

კადრი



რეკლამა 299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

- ში მუქთანორავ, გეყოფა ტანტზე კოტრიალი და გაზეთების კითხვა, ბაღში მაინც ჩადი და ნარგავები მოწვეფი - ეჩხუბება სიდედრი სიძეს აგარაკზე. - კი, მაგრამ ვერ ხედავ რა თავსხმა წვიმაა? - არა უშავს, ლაბადა ჩაიცვი!



- ასე რად ჩამოგტირის სახე შეგბულეების შემდეგ? რაო, უკვე ჩაყვინთე სამუშაოში? - ჩამაყვინთინეს...

დაინახა, ცოლი მაშინვე მისკენ გაექანა: - ძვირფასო, როგორ მიხარია, რომ ისევ გხედავი! - ეპ, უკვე არ არის შენი მელოტი შტერი სომ გასაგებად იყო ნათქვამი: სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებსო.

ქრმბ ტიპმა მტივრთავეების კონკურსში გაიმარჯვა. მათ როიალი მელორმეტე სართულზე აიტანეს. თანაც თერთმეტჯერ შეეშალათ სადარბაზო.

- შინ ვინა ხარ? - მე ამური ვარ. ხედავ იმ გოგოს? ახლა იმას გულში ჩაგისვამ. - მაგრამ იგი ხომ ძალიან შეუხედავია! - მე უნამუსო ამური ვარ!

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორ ში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) სახარტველოს რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოგუშია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24.